ხელშეკრულება N --130

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

დაბა შუახევი 10 ივლისი 2017 წელი

ერთი მხრივ, შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“),გამგებლის ტარიელ ებრალიძის სახით და მეორე მხრივ, **შპს „ჩვენი ხედი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი **დირექტორის გია ამაღლობელის** სახით,„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის **შპს „ჩვენი ხედის“** სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანის წარმოადგენს **სოფელ ინწკირვეთში სოფლის სახლის მშენებლობა**

1.2. შესყიდვის საშუალება: **ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე**

1.3. სატენდერო განცხადების ნომერი **NAT170006387**

1.4. კლასიფიკატორის კოდი: **CPV- 45200000**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **67776 (სამოცდაშვიდი ათას შვიდას სამოცდათექვსმეტი) ლარს(დღგ-ის გათვალისწინებით).**

2.2 ხელშეკრულების ღირებულება გულისხმობს საერთო თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაუხადოს მიმწოდებელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს,როგორც შესასრულებელი სამუშაოს ღირებულებას ასევეწინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოში მოქმედ ყველა გადასახადს.

2.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულებების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. სამუშაოს შესრულების პირობები და ხარისხი

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, არსებული სტანდარტების და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების, მათ შორის ხელშეკრულებაზე დართული საპროექტო ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5(ხუთი)სამუშაო დღის ვადაში.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო განახორციელოს სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა- გრაფიკის შესაბამისად.

3.4. შემსყიდველის მითითებისთანავე დაუყონებლივ უზრუნველყოს სამუშაოს მიმდინარეობისას გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება საკუთარი ხარჯით.

3.5. სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა- დანადგარებისაგან, მასალებისაგან, და ა. შ.

3.6. მშენებლობის პროცესში გამოყენებული ყველა მასალა მოწყობილობა უნდა იყოს სათანადო ხარისხის. შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს სტანდარტის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ან/და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების ყველა საჭირო ლაბორატორიული გამოცდა და შემოწმება, მათი გამოყენების ვარგისიანობაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში გონივრულ ვადაში წარმოადგინოს გამოყენებული მასალების (ცემენტბეტონის, ღორღის, ქვიშის, მინერალური ფხვნილის,ბიტუმის, გრუნტების და სხვა.) ლაბორატორიული დასკვნები. დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი იქნეს აღნიშნული დასკვნის გამცემი ლაბორატორიის ლიცენზირებულობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი .მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

3.7. იმ შემთხვევაში თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოთა წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება. გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველის მოთხოვნისთანავე. აღნიშნული არ გულისხმობს საგარანტიო პერიოდში დაზიანების აღდგენას,თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

3,8 **შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადად განისაზღვრება 5 (ხუთი) წელი, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა**

4.სამუშაოს შესრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიწოდების ვადაა **2017 წლის 10 ნოემბრის** ჩათვლით პერიოდი

4.2 **წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2017 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით პერიოდი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაარება ხორციელდება ეტაპობრივად- შესყიდვის ობიექტის ნაწილის მიღების გზით და საბოლოო შემოწმების შედეგად - სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებისგზით.

5.2 სამუშაოთა შუალედურ და საბოლოო მიღება-ჩაბარებას განახორციელებს **შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი ჯგუფი. ჯგუფის წევრების ვინაობის შესახებ მიმწოდებელს დამატებით ეცნობება წერილობით.**

5.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება, როგორც სრული ასევე ნაწილობრივი, ფორმდება მიღება-ჩაბარებისაქტით.

5.4 სამუშაოების ეტაპობრივი მიღება-ჩაბარებისთვის,მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესრულებული სამუშაოების აქტი-ფორმა N2 ,ფარული სამუშაოების აქტები(ასეთის არსებობის შემთხვევაში), დადასტურებული ტექნიკური ზედამხედველის ხელმოწერით, და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (თუ გააჩნია აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტის

წარმოდგენის ვალდებულება)

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ან ერთჯერადი გადახდის გზით, მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოზე წარმოდგენილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა N2-ის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (თუ გააჩნია აღნიშნული საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულება) წარმოდგენის საფუძველზე 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3 შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველი განახორციელებს შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტში (ფორმა N2 და ანგარიშფაქტურაში) ნაჩვენები თანხების 10 %-ის დაკავებას. დაკავებული თანხა აუნაზღაურდება მიმწოდებელს, სამუშაოების საბოლოო მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.4 იმ შემთხვევასი,თუ ანგარიშსწორების მომენტისათვის მიმწოდებლის მიერ სრულად არ არის დაფარული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო საანგარიშსწორებო თანხის ოდენობას გამოაკლდება დარჩენილი პირგასამტეხლოს ოდენობა.ასეთ შემთხვევასი შემსყიდველი უფლებამოსილია დაკავებული პირგასამტეხლოს თანხა მიმწოდებელის დამატებითი თანხმობის გარეშე მიმართოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე შესაბამისი საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

7.2 ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ ბრძანებით უფლებამოსილი პირი ან პირთა ჯგუფი. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების კონტროლის მიზნით საკონტრაქტო საფუძველზე მოიწვიოს დამოუკიდებელი სპეციალისტი (ზედამხედველი).

7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლის უფლებამოსილების მქონე პირთა ვინაობის შესახებ მიმწოდებელს დამატებით ეცნობება წერილობით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით,ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.საკუთარი ან მის მიერ მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორსმაჟორული პირობების გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში დამატებით გამოყენებული იქნება შემდეგი საჯარიმო სანქციები:

8.1.1 იმ შემთხვევაში ,თუ მიმწოდებელი არ დაიწყებს სამუშაოებს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი)სამუშაო დღის ვადაში.ერთჯერადად დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით. სამუშაოების დაწყებად ჩაითვლება გეგმა გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების შესაბამისი სამუშაოების განხორციელება

8.1.2 მიწოდების ვადაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულებისთვის, - მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 % - ის ოდენობით.

8.1.3 იმ შემთხვევასი,თუ სახელშეკრულებო ურთიერთობა შეწყდება ისე,რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს /ან არაჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას მას 8.1.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოსთან ერთად დაეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში მიმწოდებლის მიერ შეუსრულებული ვალდებულების 10% .

8.1.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო მიმწოდებლის მიერ გადახდილი უნდა იქნას დარღვევიდან 5 სამუშაო დღის ვადაში სახაზინო კოდზე .

8.1.5 იმ შემთხვევაში ,თუ მიმწოდებელი არ უზრუნველყოფს პირგასამტეხლოს გადახდას დადგენილ ვადაში ,პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი თანხა მიმწოდებელს გამოექვითება საანგარისწორებო თნხიდან.

8.2. იმ შემთხვევაში,თუ შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს ანგარისწორებას წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და განსაზღვრულ ვადაში მას დაეკისრება საჯარიმო სანქცია ჩასარიცხი თანხის 0.01%– ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. შემსყიდველი თვისუფლდება საჯარიმო სანქციისგან თუ ანგარისწორების შეფერხება გამოწვეულია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით.

8.3. წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) შესასრულებელი სამუშაოების 10 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში;

ჩვენი ხიდი CHVENI KHIDI 44694261 GEORGIA. LIMITED

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.6 ამ მუხლის მე–5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

10. ფორს - მაჟორული სიტუაციები

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან შეფერხება არის ფორს - მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს - მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს - მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდამიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს - მაჟორული გარემოებების ზეგავლენებისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით, რომელიც უნდა დაერთოს ხელშეკრულებას დანართის სახით.

11. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

11.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

11.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაოებით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.

11.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

11.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

11.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წიასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხაეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილებით – მხარეთა მიერ შეთანხმების აქტის სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილებით შეთანხმება ცვლილებების თაობაზე, ჩაითვლება ხელშკრულებისგანუყოფელ ნაწილად.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 ,,მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა სუბკონტრაქტორთანდადებული ხელშეკრულებებისშესახებ.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბკონტრაქტთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს"ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდეგ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების სახით უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისთვის მიწოდება დეპეშის, ტელექსის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14.3 მხარეებს უფლება აქვთ წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში დააზუსტონ შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო ღირებულების ფარგლებში.

14.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია დაკმაყოფილოს „შემსყიდველის“ მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენის შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

RAGEL GROUP
CHVENI KHEDI
44635426
GEORGIA. LIMITED

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის, ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შეთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.

15.2 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

15.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1 წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს შემდეგი დოკუმენტაცია:

16.1.1 დანართი :**ხარჯთაღრიცხვები**

16.1.1 დანართი :**სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი**

16.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სხვა პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

შუახევის მუნიციპალიტი

მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ.30

სახელმწიფო ხაზინა

ბ/კოდი: TRESGE22

საიდენტიფიკაციო კოდი: 247865145

გამგებელი ტარიელ ებრალიძე

მიმწოდებელი:

შპს „ჩვენი ხედი“

მის. ქობულეთი, სოფ. ხუცუბანი

სს „პროკრედიტ ბანკი“

ბ/კოდიMIBGGE22

ა/ნ GE95PC0343600100016246

საიდენტიფიკაციო კოდი: 446954261

დირექტორი გია ამაღლობელი

სოფელ ინწკირვეთში სოფლის სახლის მშენებლობა

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა 1/1

სამშენებლო სამუშაოები

პრეტენდენტის დასახელება შპს „ჩვენი ხედი"

N	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ.ფასი	ჯამი
1	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით	მ3	9.0	20	180.00
2	გრუნტის გატანა 2 კმ მანძილზე	მ3	84.0	4	336.00
3	ბეტონის მომზადების მოწყობა საძირკვლის ფილის ქვეშ 10სმ	მ3	0.90	180	162.00
4	რკინა-ბეტონის წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა 0,9*0,9*0,4მ	მ3	2.92	302	881.84
5	რკინა-ბეტონის სვეტების მოწყობა 0,00ნიშნილზე. 0,3*0,3*2,2*3ც; 0,3*0,3*1,2*3ც; 0,3*0,3*0,7*3ც	მ3	1.11	470	521.70
6	რკინა-ბეტონის რანდკოჭის მოწყობა -0,6მ ნიშნულზე 0,3*0,4მ	მ3	7.56	386	2918.16
7	რკინა-ბეტონის სართულშუა გადახურვის ფილების მოწყობა -0.2მ და 2,8მ ნიშნულზე 20სმ	მ3	42.5	348	14803.92
8	რკინა-ბეტონის სვეტების მოწყობა I სართულზე 0,3*0,3*2,8*9ც	მ3	2.27	447	1014.69
9	რკინა-ბეტონის კიბის მოწყობა	მ3	2.65	300	795.00
10	გარე ბეტონის კიბის მოწყობა	მ3	0.893	218	194.67
11	დგარებისათვის ხის შემკვრელი და ჭერის კოჭების მოწყობა	მ3	1.00	398	398.00
12	დგარების მოწყობა 0,2*0,2*2,7მ	მ3	0.90	438	394.20
13	ხის კედლების მოწყობა	100მ2	1.18	1731	2042.58
15	ჭერის შეფიცვრის მოწყობა	100მ2	1.00	678	678.00
	შენობის სახურავის მოწყობა				0.00
16	გადახურვის ხის ელემენტების მოწყობა	მ3	6.3	408	2570.40
17	სახურავის მოწყობა ფერადი თუნუქის მოთუთიებული ფურცლებით 0,5მმ	100მ2	1.19	1875	2231.25
18	სახურავის ბურულის ხის კონსტრუქციების ცეცხლდაცვა	კვ.მ.	119.0	3	357.00
19	სახურავის ბურულის ხის კონსტრუქციების დამუშავება ანტისეპტიკური ხსნარით	მ2	119.0	3	357.00
	ჯამი				30836.41
	ზედნადები ხარჯები -10%	8%			2466.91
	ჯამი				33303.33
	გეგმიური დაგროვება - 8%	6%			1998.20
	ჯამი				35301.53
	გაუთვალისწინებელი ხარჯი	3%			1059.0458
	ჯამი				36360.57
	დღგ	18%			6544.9031
	ჯამი				42905.48

პრეტენდენტის ხელმოწერა /გია ამაღლობელი/

ჩვენი ხედი CHVENI KHEDI 446954261 GEORGIA LIMITED

სოფელ ინწკირვეთში სოფლის სახლის მშენებლობა

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა № 1/2

სამშენებლო სამუშაოები

პრეტენდენტის დასახელება შპს „ჩვენი ხედი"

N	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი	ჯამი
1	**კედლების მოწყობა (სისქით 20 სმ) მცირე საკედლე ბლოკებისაგან**	$მ^3$	24	100	2400.00
2	**ტიხრების მოწყობა (სისქით 10 სმ) მცირე საკედლე ბლოკებისაგან**	$მ^3$	1	132.0	132.00
4	**მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკის მოწყობა აქსესუარებით; 1,7*1,5*1ც;1,5*1,5*3ც;2,2*1,5*3ც**	კვმ	9.90	120.00	1188.00
5	**ხის კარების მონტაჟი (0,9*2,1*3)**	კვმ	5.67	200.00	1134.00
6	**ლითონის კარების მოწყობა ორმაგფურცლოვანი შემინული ფრამუგით 1,5*2,2*1ც;0,9*2,2*1ც**	კვმ	5.28	300.00	1584.00
8	**შიგა და გარე კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით**	$მ^2$	260.0	8	2080.00
11	**ცემენტის მჭიმის მოწყობა სისქით 3სმ**	$მ^2$	170.0	7.0	1190.00
13	**ტექნოგრანიტის ფილების მოწყობა იატაკზე შესასვლელში,მეორე სართულის ფოიე და კიბე პლინტუსით**	$მ^2$	32	25.0	800.00
14	**ლამინირებული პარკეტის იატაკის მოწყობა**	$მ^2$	147.54	20	2950.80
16	**შიგა კედლების და ჭერების დამუშავება შეღებვა**	$მ^2$	260.0	6.0	1560.00
18	**ფასადის კედლებისა და ფერდოების შეღებვა ფასადის წყალმედეგი საღებავით**	კვმ	102.00	6.00	612.00
20	**კიბეზე მოაჯირის მოწყობა**	$100მ^2$	0.052	5200.0	270.40
21	**ლითონის მოაჯირის შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით**	$მ^2$	10.4	3	31.20
22	**გარე კიბის მოპირკეთება მონოლითური მოზაიკით**	$მ^2$	8.0	27	216.27
	ხის კედლების გალაკვა ორჯერ	$100მ^2$	1.18	134	158.12
	ჯამი				**16306.79**
	გეგმიური დაგროვება - 8%	8%			1304.54
	ჯამი				17611.33
	ზედნადები ხარჯები -10%	6%			**1056.68**
	ჯამი				**18668.01**
	გაუთვალისწინებელი ხარჯები 3%	3%			**560.04**
	ჯამი				**19228.05**
	დღგ	18%			3461.05
	ჯამი				22689.10

პრეტენდენტის ხელმოწერა /ვია ამაღლობელი/

შპს „ჩვენი ხედი"
CHVENI KHEDI
GEORGIA LIMITED

სოფელ ინწკირვეთში სოფლის სახლის მშენებლობა

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა № 1/3

ელ.სამონტაჟო სამუშაოები

პრეტენდენტის დასახელება შპს „ჩვენი ხედი"

N	სამუშაოს დასახელება	განზომილ ება	სულ	ერთ. ფასი	ჯამი
1	3X2,5 კაბელის მონტაჟი	გრძ.მ	150.0	2	300.00
2	გასანათებელი ფარის მონტაჟი 6 ჯგუფზე	ც	1.0	42	42.00
3	კარადის მონტაჟი	ც	2.0	48	96.00
4	ერთპოლუსა გამომრთველის მონტაჟი	ც	1.0	10.82	10.82
5	ორპოლუსიანი გამომრთველის მონტაჟი	ც	5.0	10	50.00
6	როზეტის მონტაჟი დამიწების კონტაქტით	ც	18.0	4	72.00
8	ჭერის სანათის მონტაჟი	ც	26.0	23	598.00
10	ავტომატური ამომრთველის მონტაჟი	ც	6.0	9	54.00
11	გამანაწილებელი კოლოზების მონტაჟი როზეტებისა და გამომრთველებისათვის	ც	24.0	3	72.00
13	გოფრირებული მილი სადენების გასატარებლად	100მ	0.6	118	70.80
	ჯამი	ლარი			**1365.62**
	შრომითი დანახარჯი	ლარი			395.00
	ზედნადები ხარჯები შრ.დანახარჯებიდან	75%			296.25
	ჯამი	ლარი			1661.87
	გეგმიური დაგროვება	8%			132.95
	ჯამი	ლარი			1794.82
	გაუთვალისწინებელი ხარჯი 3%	3%			53.84
	ჯამი	ლარი			1848.66
	დღგ-18%	18%			332.76
	ჯამი	ლარი			2181.42

	ხარჯთაღრიცხვები				
	N1				42905.48
	N2				22689.10
	N3				2181.42
	ჯამი				67776.00

პრეტენდენტის ხელმოწერა /გია ამაღლობელი/

შპს „ჩვენი ხედი" CHVENI KHEDI 446954261 GEORGIA LIMITED

გეგმა-გრაფიკი
სოფელ ინწკირვეთში სოფლის სახლის მშენებლობა
პრეტედენტი შპს „შვენი ხედი

	სამუშაოების დასახელება	120 დღე											
		10	10	10	10	10	10	10	10	10	10	10	10
1	IV კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით												
2	გრუნტის გატანა 2 კმ მანძილზე												
3	ბეტონის მომზადების მოწყობა საძირკვლის ფილის ქვეშ 10სმ												
4	რკინა-ბეტონის წერტილოვანი საძირკვლის მოწყობა 0,9*0,9*0,4მ												
5	რკინა-ბეტონის სვეტების მოწყობა 0,00ნიშნილზე. 0,3*0,3*2,2*3ც; 0,3*0,3*1,2*3ც; 0,3*0,3*0,7*3ც												
6	რკინა-ბეტონის რანდკოჭის მოწყობა -0,6მ ნიშნულზე 0,3*0,4მ												
7	რკინა-ბეტონის სართულშუა გადახურვის ფილების მოწყობა -0.2მ და 2,8მ ნიშნულზე 20სმ												
8	რკინა-ბეტონის სვეტების მოწყობა I სართულზე 0,3*0,3*2,8*9ც												
9	რკინა-ბეტონის კიბის მოწყობა												
10	გარე ბეტონის კიბის მოწყობა												
11	დგარებისათვის ხის შემკვრელი და ჭერის კოჭების მოწყობა												
12	დგარების მოწყობა 0,2*0,2*2,7მ												
13	ხის კედლების მოწყობა												
14	ჭერის შეფიცვრის მოწყობა												
16	გადახურვის ხის ელემენტების მოწყობა												
17	სახურავის მოწყობა ფერადი თუნუქის მოთუთიებული ფურცლებით 0,5მმ												
18	სახურავის ბურულის ხის კონსტრუქციების ცეცხლდაცვა												
19	სახურავის ბურულის ხის კონსტრუქციების დამუშავება ანტისეპტიკური ხსნარით												
20	კედლების მოწყობა (სისქით 20 სმ) მცირე საკედლე ბლოკებისაგან												
21	ტიხრების მოწყობა (სისქით 10 სმ) მცირე საკედლე ბლოკებისაგან												
22	მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკის მოწყობა აქსესუარებით; 1,7*1,5*1ც;1,5*1,5*3ც;2,2*1,5*3ც												
23	ხის კარების მონტაჟი (0,9*2,1*3)												
24	ლითონის კარების მოწყობა ორმაგფურცლოვანი შემინული ფრამუგით 1,5*2,2*1ც;0,9*2,2*1ც												
25	შიგა და გარე კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით												
26	ცემენეტის მჭიმის მოწყობა სისქით 3სმ												
27	ტექნოგრანიტის ფილების მოწყობა იატაკზე შესასვლელში,მეორე სართულის ფოიე და კიბე პლინტუსით												
28	ლამინირებული პარკეტის იატაკის მოწყობა												
29	შიგა კედლების და ჭერების დამუშავება შეღებვა												
30	ფასადის კედლებისა და ფერდოების შეღებვა ფასადის წყალმედეგი საღებავით												
31	კიბეზე მოაჯირის მოწყობა												
32	ლითონის მოაჯირის შეღებვა ანტიკოროზიული საღებავით												
33	გარე კიბის მოპირკეთება მონოლითური მოზაიკით												
34	ხის კედლების გალაკვა ორჯერ												
35	3X2,5 კაბელის მონტაჟი												
36	გასანათებელი ფარის მონტაჟი 6 ჯგუფზე												
37	კარადის მონტაჟი												
38	ერთპოლუსა გამომრთველის მონტაჟი												
39	ორპოლუსიანი გამომრთველის მონტაჟი												
40	როზეტის მონტაჟი დამიწების კონტაქტით												
41	ჭერის სანათის მონტაჟი												
42	ავტომატური ამომრთველის მონტაჟი												
43	გამანაწილებელი კოროზების მონტაჟი როზეტებისა და გამომრთველებისათვის												
44	გოფრირებული მილი სადენების გასატარებლად												

პრეტენდენტის (ან მისი უფლებამოსილი პირის) ხელმოწერა (ანა ამბალოვნელი)

შპს „შვენი ხედი"
SHVENI KHEDI
446954281
GEORGIA, LIMITED